

საქართველოს
საგარეო
აღმართმშენებელი

საქართველი

საორტული გაზეთი ოთხშაბათი 25 იანვარი 2006 №15 (2637)

ფასი 50 თეთრი

ნულიდან მარტილა პროვინცია



გადრი კათილასის ფოტო

ისეთი პირი უჩანს, გაპარტახებულ ეროვნულ სტადიონს მალე საშველი დაადგება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და „ეროვნულს“ აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელ თბილისის მერიას შორის კონსულტაციები უკვე დაწყებულია. გამაგრების სამუშაოები, ახალი მიწდვრის საფარი, ინდივიდუალური სკამები, განახლებული გასახდელეები და ლოჯა — წინასწარი გეგმით, განახლებულმა სტადიონმა უკვე სექტემბერში საქართველოს ნაკრების საშინაო შეხვედრებს უნდა უმასპინძლოს. საბოლოო გადანვეტილების ვადად თებერვლის შუა რიცხვებია დათქმული, „ევროემონტი“ კი თებერვლის მიწურულს დაიწყება.

სლოვაკეთმა ჩაბვირაბრაბა **1:3**

პორტუგალიურ ვალე დო ტეხოში მიმდინარე ტურნირზე საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა გუშინ პირველი შეხვედრა გამართა. კობა ჟორჯიკაშვილის გუნდის მეტოქე სლოვაკეთის ახალგაზრდული ნაკრები იყო.

შეხვედრა სლოვაკეთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დასრულდა — 3:1. საქართველოს ორი გოლი რაკმა გაუტანა, ერთი იაკუბკომ. გვიანობამდე ვერ მოხერხდა პორტუგალიაში მყოფი ჩვენი დელეგაციის წევრებთან დაკავშირება და ვერც ფედერაციის ვებგვერდიდან მივიღეთ ინფორმაცია, სლოვაკური წყაროები კი ქართველთა გოლის ავტორის და მეტოქე გუნდების შემადგენლობების შესახებ არაფერს იუწყებიან.

ხვალ ჩვენი ახალგაზრდები მორიგ შეხვედრას სლოვენულ თანატოლებთან გამართავენ.

დე ფაქტო ფესბურთი ვის, როგორ და რატომ პატრონობს კოკოიტი





მოსკოვის „ლოკომოტივი“ აბუ-დაბიდან დაბრუნდა და რამდენიმე დღე საკუთარ ბაზაზე გააგრძელებს საახალსეზონო მზადებას. ბუნებრივია, გუნდთან ერთად ვარჯიშობს ქართული დუეტიც — მალხაზ ასათიანი და გიორგი ჭელიძე, რომელთაც რუსი ჟურნალისტები გუნდის ყველაზე ხალისიან მოთამაშეებად მიიჩნევენ. მოკლედ, აგერ „ასკა“ და აგერ „პაჭელო“ — „ლოკომოტივის“ ქართველები „სოვეტსკი სპორტის“ ჟურნალისტთან ოხუნჯობენ...



ლოკომოტივი 2006

პირადი მკვლელი ასკა და ტრაქტორისტი პაჭელო

— მალხაზ, როგორ მოგწონთ ახალი მწვრთნელი?
— სლავოლიუბ მუსლინი სერიოზული პიროვნებაა. მის ხელში ყველაფერი ახალი გვაქვს: რეჟიმი, ვარჯიშები... ენაც. მხოლოდ ამოცანა დარჩა ძველი — რუსეთის ჩემპიონები უნდა გავხდეთ.
— არდადეგებიდან ჭარბი წონით დაბრუნდით?
— კი, სახლიდან წამოვიყოლე რამდენიმე კილოგრამი. სხვანაირად ძალიან ძნელია იქიდან დაბრუნება, რა უნდა ჰქნას, როცა ყველა თავისთან გეპატიჟება, სულ სტუმრიანობაა.
— ხუმრობა კარგია, მაგრამ აბუ-დაბიში „ლოკოს“ ერთ-ერთი ვარჯიშისას სახუმაროდ საქმე მართლა არ იყო — თქვენ წაიქეციტ და კარგა ხანს არ აპირებდით ადგომას...
— დასვენება მინდოდა. ძალიან დავიღაღე, მაგრამ ვინ დავასვენებდა, მობრუნდები ექიმებმა და დამიწყეს გამოკითხვა: რა გჭირს? რა მოგივიდა?
— ვარჯიშებზეც ჩანდა და შვეიცარიულ „თუნთან“ ამხანაგურ მატჩშიც გამოჩნდა, რომ რაღაც შეტევაში მაგნიტივით ვიზიდავთ და სულ წინ გარბიხართ. დაცვაში აღარ მოგწონთ?
— მე რა უნდა ვქნა?! ფეხები თავისით მიბრბან წინ — მათი შეჩერება არ შემიძლია!
— ამ დროს კი უკან რა ხდება?

— ყველაფერი ნორმალურადაა. უნდა მოასწრო წინ წასვლაც და უკან დაბრუნებაც. პრობლემაც არაფერი იქნება.
— შემთხვევით, გიორგი თქვენი პროტექციით ხომ არ მოხვდა „ლოკომოტივში“?
— მალხაზს პასუხი თავად გიორგი ჭელიძემ დაასწრო:
— არა, უბრალოდ მე ვთამაშობდი კარგად.
— მალხაზ, თქვენ და გიორგი ყოველთვის ერთ ოთახში ცხოვრობთ?
— აბა როგორ?! ჩვენ ხომ ქართველები ვართ. ადრე მიხეილ აშვეთისთან ერთად ვცხოვრობდით, ახლა გიორგისთან ერთად ვარ.
— ერთმანეთს ქართულად ელაპარაკებით?
— ოთახში მარტო ჩვენ თუ ვართ, მაშინ, რა თქმა უნდა, ქართულად ელაპარაკობთ. აი, ახლა კი რუსულად გელაპარაკებით, ავტობუსშიც რუსულად ვლაპარაკობთ. მე თვითონ არ მომწონს, როცა ჩემს გვერდით გაუგებარ ენაზე ელაპარაკობენ.
— გუნდის თითქმის ყველა ლიდერი (ლოსკოვი, სიჩოვი, ბილია-ლეტილინი, მაშინოვი, პაშინინი, პოლიაკოვი...) არაბულ შეკრებაზე ერთ მაგიდასთან სადილობდნენ. თქვენ მათთან არ მეგობრობთ: თუ ლიდერად არ თვლით თავს?
— მე სხვა კომპანიაშიც კარგად ვგრძნობ თავს. საერთოდ კი, „ლო-

კომოტივი“ ყველასთან ვმეგობრობ. — გიორგისთან ხშირად კამათობთ?
— ვეღარ ვასწრებ. ის ძალიან შორსაა — თავდასხმაში, მე კი — დაცვაში.
— ვარჯიშზე ერთმანეთის პირისპირ რომ აღმოჩნდებით, ინდობთ მეგობარს?
— რატომ? პირიქით, მეგონი, სხვაზე მეტად გიორგის ხვდება ფეხებში.
— ის როგორ გპასუხობთ?
— იგივეით. საერთოდ არ სცემს პატივს უფროსებს.
— გიორგი, „ლოკომოტივში“ რომ მოდიოდით, ალბათ იცოდით, რომ აქ ცნობილი ქართველი ფეხბურთელი მალხაზ ასათიანი თამაშობდა...
— როგორ არ ვიცოდი, ჩვენ ერთმანეთს ბავშვობიდან ვიცნობთ, თითქმის მთელი ცხოვრება...
— და საქართველოში ყველას ფეხბურთელია უნდა?
— ყველას არა. მე ტრაქტორისტობა მინდოდა.
— წინა სეზონის ბოლოს „სპარტაკთან“ მატჩში გმირობა შეგემლოთ...
— ის მომენტი რომ ვერ გამოვიყენე, დაახლოებით ათი წუთი საერთოდ არაფერი მესმოდა, დაფრუვდი. სტადიონი ხმაურობდა, ფეხბურთელები ყვიროდნენ, მე კი არაფერი გამოვიდა.
— გასახდელში რა გითხრეს?

— არაფერი, უბრალოდ, ყველა გულდასწყვეტილი იყო.
— მალხაზი საქმიან რჩევებს გაძლევთ?
— რა თქმა უნდა.
— რუსულში პროგრესი გაქვთ?
— თითქმის ყველაფერი მესმის, მაგრამ გამართულად ჯერ ვერ ვლაპარაკობ.
— მოსკოვში თქვენი მანქანით მოძრაობთ?
— ამჯერად გიორგის მალხაზმა დაასწრო.
— რად უნდა მანქანა? მას პერსონალური მძღოლი ჰყავს, სახელად მალხაზი. ასათიანი!
ბოლოს ერთიც: არაბეთში ერთ-ერთი წვრთნისას ჭელიძემ ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობდა. მაშინ, როცა გუნდი სხვადასხვა ტაქტიკურ ვარიანტებს ამუშავებდა, გიორგი 80-მეტრიან რივოკებს აკეთებდა ალაგ-ალაგ შეჩერებებით.
— უცებ დადღილი-დაქანცულ გიორგისთან სლავოლიუბ მუსლინი მივიდა და ეუბნება:
— მოდი, შენთან მალხაზს გამოუშვებ. ერთად უფრო მხიარულად იქნებით.
ჭელიძე თავიდან ვერ მიხვდა მუსლინის ხუმრობას, მაგრამ მერე უცებ გაერკვა სიტუაციაში და მეგობარი დაიცვა:
— არა, ის ბურთთან დატოვებ. მალხაზს ბურთი უფრო უყვარს!

ლადო ბურდული დანიამი მიმხვიას

25 წლის ლადო ბურდული, ვინც ჯერაც ვლადიკავკაზის „ალანის“ საკუთრებაა და თბილისის „დინამოში“ ვარჯიშობს, კარიერას ალბათ დანიამი გააგრძელებს. ბურდულით დანიური სუპერლიგის „AGF ორჰუსი“ დაინტერესდა — დანიელები მას თავისთან იწვევენ მოსალაპარაკებლად. ლადო ახლა დანიურ ვიზას ელის და რამდენიმე დღეში უნდა გაემგზავროს სკანდინავიაში.

დავით თავართქილაძე გააუზარდასვილი: ესპანეთის ნახვლად სლოვაკეთში

სლოვაკეთის ჩემპიონატში აქამდე არცერთ ქართველ ფეხბურთელს არ უთამაშია. ახლა კი ჩვენთვის ამ უცხო ქვეყანაში ჩასვლას ქუთაისის „ტორპედოს“ ყოფილი მცველი დავით გამეზარდაშვილი აპირებს. საქმე ისაა, რომ გამეზარდაშვილი თავის ამჟამინდელ კლუბ რიგის „სკონტოს“ ესპანურ შეკრებაზე არ წაჰყვია, მიზეზად კი ერთ-ერთ სლოვაკურ კლუბში გადასვლის ვარიანტი დაასახელა.

ილია ნანოზაშვილი მელქაძისთვის ზაპარბრიუკენი შვეიცარიაზე ახლოსაა


26 წლის ლევან მელქაძე ძალიან ახლოსაა იმასთან, რომ მეორეხელნდელიველი გახდეს — ჩვენი ვერმანელი კოლეგების ცნობით, მელქაძის „ზაპარბრიუკენში“ ჩარიცხვის საკითხი დღეს გადაწყდება. მელქაძემ სამედიცინო შემოწმება უკვე გაიარა „ზაპარბრიუკენში“, რომელიც თერამეტგუნდა მეორე ხელნდელიველია მე-18 ადგილზეა. გერმანული კოლეგებისგან ისიც შეეტივყვით, რომ მელქაძით შვეიცარიული „სენტ გალენიც“ დაინტერესდა, მაგრამ მათ ჩვენებური ფორგარდისთვის შეუთავაზებიათ, გასინჯვაზე ჩამოდიო. მელქაძე წინა სეზონში საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი გახდა, ეროვნულ ნაკრებში კი ოთხჯერ უთამაშია.

თქვენი ინტერვიუ

კლაუს ტოპფიოლერთან

თქვენთვის კარგად ნაცნობი ამ რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი კლაუს ტოპფიოლერი იქნება. კითხვები 5 თებერვლის ჩათვლით უნდა მოგვანოდოთ და პერ კლაუსთან ინტერვიუ არაუგვიანეს 12 თებერვლამდე გამოქვეყნდება.

იაქტიურეთ!



მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელ.კატრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

გოლი ოკეანისგაღვიძან ბრაზილიელების ზღვისპირული დაბიუტი ლანჩუთში



ოთარ გაბელიძე

ორივე გუნდმა ძირითადები ათამაშა. მხოლოდ ბათუმელთა ახალწვეულმა თავდამსხმელმა, დავით ნაკანმა ვერ იბურთავა სიცხის გამო.

ბათუმში: თოთლაძე (სომხიშვილი), გოვიშვილი (რამიშვილი), გ. ონიანი, მახვილაძე, სეთურიძე, უგრეხელიძე, ქებაძე, კუნჭულია (ტიავო), რ. ონიანი, დვალისხელი, რ. ჯიქია (და ხილვა)

კოლხეთი: ლატარია, ფარულაძე, ჯ. შალაშვილი, გ. კლასონია, ასათიანი (ხაუშია), ლოლუა (ვართაგავა), წაბრია (წიქარიშვილი), მარგალიტაძე, ზ. ჯანაშია (სამსიქიშვილი), მურვანიძე (ზ. ქუთათელაძე), დ. ნარსია (კრასოვსკი).

ოთარ გაბელიძემ ბრაზილიელებზე გვითხრა, ორივე ტექნიკურია, ანუ ისეთი, როგორც ბრაზილიელს შეეფერება: „ტექნიკა, თავისთავად, სხვა კომპონენტებში კი ერთი შეხედვით ვერ შევაფასებ. დღეს არც ვაპირებდით მათ თამაშს, მგზავრობისგან დაღლილები იყვნენ, მაგრამ თავად გვთხოვეს. 26 იანვარს ტესტ-მატჩს არ ვვგეგმავდით, მაგრამ ახალწვეულებზე დაკვირვება გვინდა და ამიტომაც თბილისის „დინამო 2-ს“ ვეთამაშებთ“.

რაც შეეხება „კოლხეთს“, იქ სატრანსფერო სახელები არ არის. ისევე თურქული „ბეშიქთაშის“ ერთ-ერთი სპონსორისა და ფოთის მერიის შეხვედრის ამბებმა დაგვანტერესა, თუმცა, როგორც კოლხთა მწვრთნელმა სოსო ფილიამ გვითხრა, ეს შეხვედრა ჯერ არ გამარტულა.

ილია ნანოხაშვილი



სხინვალი თუ იუნოსტი? ვის, როგორ და რატომ პატრონობს ედუარდ კოკოითი

ორიოდ დღის წინ „სარბიელთან“ საუბარში საფეხბურთო კლუბ „ცხინვალის“ გენერალურმა დირექტორმა ზურაბ ნასუაშვილმა სინანულით აღნიშნა, ცხინვალის ოსური გუნდი რუსეთის ჩემპიონატში თამაშობს და სირცხვილი იქნება, თუ ჩვენი გუნდი დაფინანსების არარსებობის გამო დაიშლება.

ადგილობრივი ფეხბურთის ფედერაციის ნებართვის გარეშე ერთი ქვეყნის კლუბის გამოსვლა მეორე ქვეყნის ჩემპიონატში ფიფას მიერ იკრძალება და შესაძლოა, სერიოზული სანქციების საფუძველი გახდეს. შესაბამისი ნებართვით თამაშობს, ვთქვათ, ჯუჯა საგრაფოს წარმომადგენელი „მონაკი“ საფრანგეთის, ხოლო ლიხტენშტაინის „ვალდუი“ შვეიცარიის ჩემპიონატში. თუმცა ამ შემთხვევაში ფრანგული ან შვეიცარული ანალოგიების მოშველება ალბათ უადვილოა.

ბუნებრივია, საინტერესო იყო, რას წარმოადგენს ცხინვალის ოსური გუნდი და რუსეთის რომელი დივიზიონში თამაშობს. ჩვენ შევძელით დაკავშირება ამ გუნდის სამხარეულში ჩახვეულ ერთ-ერთ პიროვნებასთან, რომელიც საუბარზე ვინაობის გაუმჟღავნებლობის პირობით დაგვთანხმდა.

ცხინვალის „იუნოსტი“ ათი წლის წინ შეიქმნა და მამინვე ჩაერთო ჩრდილოეთ ოსეთის ჩემპიონატში. უფროსმა ნოდარ ახალკაცმა სწორედ ამის საპირწონედ წამოაყენა ცხინვალის ლტოლვილთა გუნდის ჩამოყალიბების და საქართველოს ჩემპიონატში დაშვების იდეა. მას შემდეგ „ცხინვალის“ და „იუნოსტის“ ისტორია ერთგვარ დაუსწრებელ შეჯიბრებასაც წარმოადგენს — როდესაც „იუნოსტი“ შექმნილ პირობებს გაეცნობით, დაგვეთანხმებით, რომ სადღესოდ ეს შეჯიბრი ოსური მხარის უპირა-



ედუარდ კოკოითი

ტესობით მიმდინარეობს.

„იუნოსტი“ ცხინვალის ცენტრალურ სტადიონზე ვარჯიშობს. მოედნის საფარს იდეალური ნამდვილად არ ეთქმის და ამის გამო სამინაო შეხვედრების გამართვა გუნდს ვლადიკავკაზში უხდება. ტრანსპორტი პრობლემას არ წარმოადგენს — მარშანდელ შემოდგომაზე ედუარდ კოკოითმა „გაზელის“ მარკის მიკროავტობუსი აჩუქა გუნდს, საწვავით კი ცხინვალის ერთ-ერთი ბენზინგასამართი სადგურიდან უპრობლემოდ და უსასყიდლოდ მარაგდებან. სამაგიეროდ, ეს ბენზინგასამართი სადგური „იუნოსტის“ ერთ-ერთ სპონსორად მოიხსენიება. გუნდს უშუალოდ კოკოითის ხელისუფლება, აგრეთვე რამდენიმე ვლადიკავკაზელი და ცხინვალელი კერძო ბიზნესმენიც მფარველობს. ვლადიკავკაზში „იუნოსტისთვის“ მუდმივად არის დაჯავშნული სასტუმროს ნომრები — რა თქმა უნდა, ასევე უსასყიდლოდ.

ცხინვალელთა გუნდს გარკვეული სპორტული წარმატებებიც აქვს. ზემოთ „გაზელის“ მარკის მიკროავტობუსი ვახსენეთ და, ეს საჩუქარი ცხინვალის დეფაქტო ხელისუფლებამ გუნდს ჩრდილოეთ

ოსეთის თასის მოგებისთვის გადასცა, ზედ კი 200 ათასი რუსული რუბლი პრემიაც დაუმატა (დაახლოებით 12 ათასი ლარი). რაც შეეხება ხელფასებს, მაღალი არაა, თუმცა რამდენიმე ქართული უმაღლესი ლიგის გუნდისას კი აღემატება.

თავის დროზე „ცხინვალში“ ოსი ეროვნების 5-6 ფეხბურთელი თამაშობდა. დეფაქტო ხელისუფლებამ ესეც მოაგვარა, მათ გაფრთხილება მისცა: თუ „იუნოსტი“ არ ითამაშებთ, თქვენს ოჯახებს სერიოზული პრობლემები შეექმნებათ. შედეგად (ეგებ მატერიალური პირობებიდან გამომდინარე). ამ ბიჭებმა კარიერის „იუნოსტი“ გავრძელება არჩიეს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ალბათ მართებს ამ თემით დაინტერესება. თავის დროზე აქტიურად განიხილებოდა სოხუმის აფხაზური გუნდის რუსეთის ჩემპიონატში დაშვების საკითხი. მაშინ სფფ-მ პრინციპული პოზიცია დაიკავა და სოხუმელთა არდაშვების გადაწყვეტილება უშუალოდ რუსეთის საფეხბურთო კავშირის მამინდელმა თავმჯდომარემ ვიჩეხლაე კოლოსკოვმა გამოიტანა. დღეს საკითხი არანაკლებ პრინციპულად დგას, რადგან წმინდა საფეხბურთის გარდა, ერთი ჩვეულებრივი ცხინვალური გუნდის რუსეთის (ჩრდილო ოსეთის) პირველობაზე გამოსვლა უპირველესად პოლიტიკურ ჭრილშია განსახილველი.

P.S. დღეს „ცხინვალის“ წარმომადგენლები სახელმწიფო მინისტრ გოგა ხაინდრავას დახმარებით პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელთან შეხვედრას ეცდებიან. გუნდის მომავალი სწორედ პრემიერის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

გიორგი ნოზაძე

დიდი ლოდი გორის სტადიონზე ამ აღმსრულა დილა

რამდენიმე დღის წინ შიდა ქართლის გუბერნატორის გორის „დილას“ მომავალზე ვესაუბრეთ და დამამბედრებელი პასუხი მივიღეთ — კლუბის ყიდვის სურვილი ერთმა ინვესტორმა გამოთქვა, დანარჩენებსაც ველოდებით და თვის ბოლომდე ყველაფერი გაირკვევა. ახლა კი... მიხეილ ქარელის ნათქვამი და „დილაში“ არსებული დღევანდელი ვითარება სხვადასხვაანაირია...

გორში ფეხბურთის ჩამჩუმიც აღარ ისმის. ეგაა, „თენგიზ ბურჯანაძეზე“ ექვსი ფეხბურთელი ვარჯიშობს მწვრთნელ ვლადიმერ ხაჩიძის დავალებით. სულ ესაა...

სტადიონი ავარიულ მდგომარეობაში აქამდეც იყო, ახლა კი ნელ-ნელა იმლება, ბეტონი ინგრევა და მიმხედი არავინაა. ისიც ვერ გაირკვა, ვინაა „დილას“ პრეზიდენტი. ითქვას, არჩილ ბეგიაშვილმა განცხადება დაწერა პრეზიდენტობიდან წასვლაზე, მაგრამ არ დაუკმაყოფილესო, თუმცა ბეგიაშვილი მაინც არსად ჩანდა, მხოლოდ საახალწლოდ დაარიგა ერთი თვის ხელფასი და მორჩა.

„დილას“ პრესატაზე ზურაბ კარტოზიამ გვითხრა, გუმინ ბეგიაშვილი და მე ვაპირებდით მიხეილ

ქარელთან და მის აპარატთან შეხვედრას, მაგრამ ვერ მოხერხდა, არ ეცალათო.

„არავითარი იმედი არ ჩანს, რომ „დილა“ იარსებოს. წარმოიდგინეთ, ერთადერთი მე დავრბივარ, რომ ვილაკ ვნახო, რაღაცით დავანტერესო. შესაძლოა, ამის გამო შემოვიღო ენთუზიასტადაც მოვლიან, რა აზრი აქვს სირბილს, მაინც არაფერი გვეშველება“ — გვითხრა კარტოზიამ.

ურთიერთგამომრიცხავ ამბებს კი „დილაში“ რა გამოიღვეს: ერთნი ამბობენ, გუნდიდან ოფიციალურად არავინ წასულაო, მეორენი კი ამტკიცებენ, ყველა წავიდა და გათავისუფლების ფურცლებიც მიიღესო (რაც უფრო სარწმუნო ჩანს).

შეიძლება ითქვას, რომ „დილა“ არ არსებობს და ყველაზე ოპტიმისტური გულშემატკივრებიც ნერვებდაწვევით ამბობენ, დაგვეტოთ სტადიონი და ცენტრში დიდი ლოდი დავდგათ წარწერით — გორში ფეხბურთი დაიღუპაო...

მგონი, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ მეორე წრეში უმაღლეს ლიგაში თექვსმეტი გუნდი აღარ იქნება...

ილია ნანოხაშვილი

ანრი ბარსელონაში მიღის

რეალური ბარსა ასი მილიონის ჯინაზე

„მეთოფთა“ მეოთხედი ამჟამად თავისი კლუბის სუპერკონომიკური და სპორტული შეთავაზების მოლოდინშია — ინგლისელები მას კონტრაქტის გაგრძელებას და ფანტასტიკურ ანაზღაურებას შეჰპირდნენ, თავად ანრი კი „არსენალს“ გუნდის ბრძოლისუნარიანობის აღსადგენად რამდენიმე საჭირო ტრანსფერის განხორციელება მოსთხოვა. კლუბმა კი გადაწყვიტა, ახალგაზრდა მოთამაშეებს დაეყრდნოს, არადა სანამ სესკი, უოლკოტი, პოლანდიელი ვან პერსი და შვეიცარიელი სენდეროსი „დაიხრდებიან“ და კლუბს რაიმე ღირებულს შემატყვენ, წვიმიან ლონდონში ბევრი წყალი ჩაივლის. ფანტასტიკურ ფრანგს კი ჯილდოების მოპოვება სწორედ უახლოეს სეზონებში სურს.

პრემიერლიგაში გატარებული 7 სეზონის განმავლობაში ანრიმ ორჯერ ინგლისის ჩემპიონობა (2002 და 2004) და ამდენჯერვე თასის მოპოვება იზეიმა (2002 და 2003). ამავე პერიოდს უკავშირდება მისი სანაკრებო წარმატებებიც — ფრანგთა ეროვნულმა გუნდმა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატები მოიგო.

თუმცა ტიერის დიდი ოცნება, ჩემპიონთა ლიგის დაპყრობა, ჯერ განუხორციელებელი რჩება. სწორედ ამიტომ მივიდა სახელგანთქმული მოიერიშე რაიკარდის „ბარსელონამდე“ — ანრიმ იცის, რომ პოლანდიელს ჰყავს გუნდი, რომლის ჩაუქვევრებასაც ჩემპიონთა თასის მოგება შეუძლიათ. რონალდინიოსთან ერთად თამაშის შანსი კი ანრისთვის ალბათ ძალიან მაცდური შანსია.

„სპორტი“ მომავალი ტრანსფერის ფინანსურ დეტალებსაც გვაწვდის — 29 წლის ფრანგი, რომელსაც „პაიბერის“ „მეთოფთებთან“ ყოფნა კონტრაქტით ერთი სეზონითაა უწყვეს, „კამპ ნოუს“ „სასაცილო ფასად“, 15 მილიონ ევროდ ჩავა. ანრის გადაბირება კი „ბარსას“ პრეზიდენტ ხუან ლაპორტას საარჩევნო პროგრამის ნაწილია — როცა ლაპორტას თავკაცობას განსჯიან. ახალგაზრდა ადვოკატმა ამომრჩეველთა გულის მოგება გალაქტიკური ტრანსფერის დაბირებით მოიგო. თავიდან თითქოს კატალონიის დევიდ ბექემი უნდა ჩასულიყო, თუმცა მანჩესტერელი „რეალმა“ წარიტაცა და ბარსელონელებიც უკეთეს (როგორც შემდეგ გამოჩნდა) რონალდინიოს ვარიანტზე შეჩერდნენ. ოდნოდ... „ლაპორტა მიღწეულით არ დაკმაყოფილებდა, პრეზიდენტი და მისი ბანაკი ახლა ანრის ყიდვას აპირებენ“ — კვითხულობთ კატალონიურ მედიას. ტიერი ანრის ხელში ჩასაგდებად მთავარი ბრძოლა კი ახლა იწყება — ან 29 წლის წარმოშობით მარტინიკელს პრეზიდენტი 2006 წლის ივნისში შეიტყნს, ანაც ბარსელებს ტიერიზე საბოლოოდ მოუწევთ უარის თქმა.

ფრანკ რაიკარდმა, ანრის „ბარსას“ სპორტული გეგმები დაწერილობით გააცნო. კატალონიელთა მწვერთნელი და „არსენალის“ ფეხბურთელი ძველი მეგობრები არიან — მათი ძმობა 90-იანი წლების „მონაკოში“ გატარებულ პერიოდს უკავშირდება. ჰოდა, რაიკარდმაც მრავალჯერ პირისპირ საუბრის შემდეგ სულით ბარსელონელი გახადა ტიერი ანრი. დამრიგებლის მი-



სია ადვილი სულაც არ იყო — ჯერ ერთი, ანრის „მეთოფთა“ თავკაც არსენ ვენგერთან ცალკე არსენალსგარეშე პირადი შეთანხმება ბოჭავს და მეორეც — ანრის უნდა თუ არა, 2006-07-ის სეზონის დასაწყისში სათადარიგოებში ჯდომა მოუწევს. აბა, რონალდინიო, ეტოლი და მესი ძირითადად უბრძოლველად ვის დაუთმობენ... რასან ანრის და „ბარსას“ სამომავლო ამბავი „მოვავარეთ“, ურიგო არ იქნება, კატალონიელთა აქმიონზეც ვისაუბროთ. პრიმერადივიზიონში ბოლოდრიინდელი წარმატებებით გამხნეებულმა ხუან რომან ლოპეს კარომ, ბარსელონიელთა დაუძინებელი მტრის, „რეალის“ დამრიგებელმა, ოპტიმისტურად ვანაცხადა — მერე რა, რომ ცხრილში მეტოქეს 13 ქულა გვაშორებს, ბარსელონელებს სეზონის ბოლომდე დავეწვეით და გადავუსწრებთ. „კამპ ნოუს“ მეზობლებს ვაზეთი „ელ მუნდო დეპორტივოც“ ადგა და სულ წვრილად დაუთვალა „რეალს“ ის 13 (ქულების მსგავსად) ჩამორჩენა, რაც „სანტაგო ბერნაბეუს“ ბიჭებს რაიკარდის შეგირდებამდე დარჩენიათ. ჩვენც ქვემოთ ამ სტატისტიკას ვთავაზობთ. კი, „ელმუნდო დეპორტივო“ „ბარსელონას“ ვაზეთია, მაგრამ ფაქტები გადავამოწმეთ და, „რე-

ალის“ საუბედუროდ, ყველაფერი მართალი აღმოჩნდა... 1. პირველი და უმთავრესი — ცხრილში ცამეტქულიანი სხვაობა. რაც ყველაზე თვალშისაცემია, „ბარსა“ „რეალს“ 13 ქულით სჯობნის. როცა ლოპეს კარომ სამეფო გუნდის მწვერთნელის თანამდებობაზე ვანდერლეი ლუშემბურგო შეცვალა, ქულებში სხვაობა მარტო 6 იყო. 2. კარო 6 გამარჯვება, რაიკარდი — 10. ლოპეს კარომ ჯერჯერობით „რეალს“ 10 ოფიციალურ შეხვედრაში უმეთაურა (6 პრიმერადივიზიონში, 3 თასზე და 1 ჩემპიონთა ლიგაზე) და მარტო 6-ში გაიმარჯვა. ზუსტად ამ პერიოდში რაიკარდის „ბარსელონამ“ ათივე თამაში მოიგო. ცნობისთვის — იქამდე კატალონიელებს ზედიზედ 8 მატჩში ჰყავდათ მეტოქეები ბეჭებზე გაკრული. 3. კაროს გუნდმა 18 გოლი გაიტანა, რაიკარდისამ — 24. ხსენებულ 10 მატჩში მადრიდელებმა 18 ბურთი შეაგდეს, ბარსელონელებმა კი 24. რაიკარდის თავდასხმის ეფექტურობა თავის სიტყვას ამბობს. 4. „რეალმა“ კაროს დროს საკუთარ კარში 8 ბურთი მიიღო, ამავე დროს „ბარსამ“ — 5. დაცვაშიც იგივე „კინო გადის“ — გალაქტიკოსები „კამპ ნოუს“ გუნდზე მეტად ზარალდნენ. და ეს მაშინ, რო-




ცა „რეალს“ ნაკრების მეკარე კასილიასი და ახალშემენილი მცველი სერხიო რამოსი ჰყავს. 5. „ბარსამ“ და „რეალმა“ ბოლო დროს 4 მატჩი ითამაშეს შინ და ორიც გარეთ. ლოპეს კარომ შესაძლო 18-დან 11 ქულა აიღო, ბარსელონელებმა — 18-დან 18. 6. სულ ცოტა წარმატებას საკმარისი, აღმოჩნდა, რათა ლოპეს კარო „ბარსას“ გადასწრებასა და ჩემპიონობაზე ალაპარაკებულიყო. რაიკარდს მსგავსი ყოყლოჩინობა არ სჩვევია. არადა, კატალონიელებმა ზედიზედ 18 თამაში მოიგეს. 7. არავინ იცის, ლოპეს კარო „რეალს“ სეზონის ბოლომდე თუ შერჩება. გალაქტიკოსებმა ბოლო ორწელიწადნახევარში 6 დამრიგებელი გამოიცვალეს. რაიკარდი კი მესამე წელია, „ბარსას“ თავკაცობს. 8. „რეალმა“ საამსეზონოდ რობინიოს, სერხიო რამოსის, ბაპტიტას, პაბლო გარსიას, დიოგოს, სინიოს და კასანოს შესაძენად საერთო ჯამში 100 მილიონი ევრო დახარჯა. „ბარსამ“ ვან ბომელი და ესკერო გადაიბირა უფასოდ და ახლა მაინც პრიმერას ლიდერია. 9. ლოპეს კარომ თქვა, „რეალში“ ყველა გალაქტიკოსმა თავისი „მე“ „ჩვენ“-ის სასარგებლოდ უნდა უარყოსო. „ბერნაბეუსზე“ ეს ამბავი

მაინც ძნელად გამოდის, „კამპ ნოუსზე“ კი იქაური მეგავარსკვლავებიცი კი წმინდა გუნდური სულისკვეთებით ბურთაობენ. 10. „ბარსას“ რონალდინიო, ეტოლი და მესი ჯერ არ „დაბერებულან“, ამიტომაც ისინი სამომავლო იმედებადაც უნდა ჩავთვალოთ. „რეალს“ კი ავანგარდში ზიდან და რონალდო ჰყავს. საგარაუდოდ, მუნდიალის მერე „ბერნაბეუს“ ორივე დატოვებს. 11. „რეალში“ თუ მწვერთნელს რაიმე შეეშალა, უსიტყვოდ ხსნიან ხოლმე (ყოველ შემთხვევაში, ბოლო პერიოდში ასე ხდება). „ბარსელონაში“ პირიქით, წარუმატებლობის შემთხვევაშიც ზელს არავინ უშლის. 12. „სანტაგო ბერნაბეუს“ ინჩადა ფიქრობს, რომ „რეალის“ გალაქტიკოსები სკანდალურ მედიასთან ხშირმა ურთიერთობამ „გამოაყენა“. „ბარსელონას“ ფეხბურთელები პრესის თავფურცელს არ შორდებიან და თანაც „ოქროს ბურთებსაც“ კარგად იგებენ. 13. „რეალში“ ახალგაზრდული გუნდიდან დღეს მარტო ორი, კასილიასი და გუტი თამაშობს. „ბარსამ“ საპრისპირო ხდება — ვალდესი, ილგერი, პუილი და მესი „კამპ ნოუსზე“ შეუცვლელი არიან მძიმე ტრავმამდე ხვეცი ამათი გახლდათ.

ლადო ხომერიძე

იბალიის ჯილა



იოჰან კრუიფი: ბარსას მეტოქე მსოფლოდ ბარსაა

„ბარსა“ სამ ფრონტზე განაგრძობს ბრძოლას. ნუთუ მეორე წრეში იმდენივე ქულის მოპოვება უნდა დავეგეგმოთ, პირველში რომ მოვიპოვეთ? შესაძლოა ჩემპიონატის 92 ქულით დასრულება? პრინციპში, არა, რადგან საქმე განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს — ქულათა ის რაოდენობა, რომელიც გუნდმა პირველ წრეში მოაგროვა, ჩვეულებრივი არ არის. ამიტომაც, არ გვინდა ამდენივე.

სეზონის მსვლელობისას თუნდაც ერთი ჩავარდნა ყველა გუნდს აქვს. უფრო ხშირად კი ჩავარდნა ორია. „ბარსას“, მიუხედავად იმისა, რომ სეზონი მძიმედ დაიწყო, ვერ პირველი ჩავარდნაც არ ჰქონია, მაგრამ სრულიად შესაძლებელია, მოუვიდეს. აქ იმას კი არ ვამბობთ, რომ მუდამ სრულყოფილი ვერ იქნები, იმას მოვახსენებთ, რომ თუკი ჩავარდნა დაიწყება, ის რაც შეიძლება ხანმოკლე უნდა იყოს. და თუ გუნდი მეორე წრეს ასეთი უპირატესობით იწყებს, შეცდომებისთვის საზღვრები ფართოვდება. ისეთ შეჯიბრებებში, როგორებიცაა ჩემპიონთა ლიგა და ესპანეთის თასი, ბედს წვრილმანები წყვეტს, ამიტომ ამ ორ ვათამაშებაზე არ შეგუბრდებით. რაც შეეხება პრიმერალიგას ანუ რეგულარულ ჩემპიონატს, აქ ცხოვრება ორი მიზეზით შეიძლება გაგართულებდეს: ან შენ უნდა დასუსტდე ძალიან, ან სხვები უნდა გაძლიერდნენ. დავიწყეთ ძლიერების ძეგნი.

ახლა „ბარსას“ მღვევართავან დამაჯერებლად და მშვიდად ვერც ერთი ვერ იგებს. „ვალენსია“ 10 ქულით ჩამორჩება, ხოლო „რეალს“ გატანილ და გაშვებულ გოლთა შორის სხვაობა 14 აქვს. დაუჯერებელია, ვალენსიელებმა მეორე წრეში „ბარსაზე“ ოთხი თამაშით მეტი მოიგონ. მეტიც, მე თუ მკითხავთ, „ვალენსიას“ და „დეპორტივოს“ საშინო ისევ „რეალია“, რადგან მას ჰყავს ძლიერი შემადგენლობა, აქვს მაღალი დონე და დიდი თავმოყვარეობა, რაც, ალბათ, ბევრ თამაშს მოაგებინებს, მაგრამ 13 ქულის გაბათილება, თან ვატანო-გაშვებულთა ასეთი სხვაობით, შეუძლებელია. ერთი სიტყვით, „ბარსას“ შეუძლია, თავს შედარებით სუსტი მეორე წრის იმედი მისცეს და მგონი, ასეც მოხდება, მაგრამ 13 ქულის ქარისთვის გატანება და მადრიდელებთან მოპოვებული უპი-

რატესობის დათმობა გამორიცხებულია.

ამრიგად, ძალაში რჩება აგვისტოს დროინდელი მტკიცება, რომ „ბარსას“ მთავარი მეტოქე თავად „ბარსაა“. სქემაც იგივეა, ოთხი თვის წინ რომ იყო და ამ წუთამდე ყველაფერი უსუსტადაც სრულდებოდა, თავისი წვლილი ყველამ შეიტანა, ფეხბურთელმა, მწვრთნელმა თუ მმართველმა. თუ ყველანი მომავალშიც ასევე დარჩებიან, მაშინ რამდენიმე ქულის დაკარგვამ არ უნდა შეგვაშინოს, რადგან გუნდმა ამის უფლება დაიმსახურა. მერე რა, თუ ვერ ითამაშებენ მოტა, დეკო, ეტოლი და ხავი, „ბარსას“ ხომ კიდევ ჰყავს ძლიერი ფეხბურთელები. მას სამ კაცზე მეტს შეცვლა შეუძლია და თან ისეთი ფეხბურთელებით, რომლებიც გასახდელში თავს რიხიანად გრძნობენ. და თან, მართალია, დანაკლისი ყოველთვის შესაძნელებია, დანარჩენებს შეუძლიათ მონდომების წყალობით შეინარჩუნონ დონე. ეტოლი არ არის? განა ლარსონს არ შეუძლია გოლების გატანა? და თუ მას არ გამოუვა, მაშინ ყველამ უნდა მოიწადინოს შეტევაში შედეგანად თამაში.

ახლა ის ვთქვათ, არის თუ არა დღევანდელ „ბარსაში“ რამე, რისი გაუმჯობესებაც შესაძლებელია? ცხადია, მიზანი ყოველთვის არსებობს. მაგალითად, თითოეულმა ფეხბურთელმა უნდა აკონტროლოს თავისი მოქმედებანი. მაგალითად, მე გამოცოც, რატომ გაავადებინა მსაჯს მოედნიდან თავი დეკომ მაშინ, როდესაც ანგარიში 2:1 იყო და მან კარგად იცოდა, რომ არ იყვნენ ხავი და მოტა. მან ხომ ცენტრი საკვებით მოასუსტა. მერედა, ბოლო შეხვედრებში გუნდი დიდი ძალისხმევით წყალობით იგებდა. და მართალია, ფეხბურთელები თავდადებით თამაშობდნენ, შეხვედრების დინამიკა საზიფათო გახლდათ. ერთი სიტყვით, მშვიდი ცხოვრებისთვის „ბარსამ“ თამაშის ხარისხი უნდა შეინარჩუნოს. ბოლო რამდენიმე თამაშში გუნდმა ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, თითქოს ერთი შეცდომით მას გატეხავდა, თუმცა უფრო იმიტომ, რომ ფეხბურთი ალოგიკური თამაშია და არა სხვა მიზეზის გამო.

აი, ჭორებზე კი დროს არ დავკარგავ. რაკარდი „მილანში“? მაგრამ მას „ბარსასთან“ კონტრაქტი აქვს და ნურავინ ინერვიულებს, რადგან სიტყვის კაცია.

იბალიის ფეხბურთელთა ასოციაციამ 2004-05 წლების სეზონის სერია A-ს საუკეთესოთა დაჯილდოების ცერემონია ჩაატარა. აპენინებს ამ საკმაოდ პოპულარული გამოკითხვის მთავარი გმირი ალბერტო ჯილარდინო გახდა, რომელმაც ორ ნომინაციაში გაიმარჯვა.

„პარამაშ“ უმაღლეს ლიგაში ადგილი რომ შეინარჩუნა, ფაქტობრივად, პირადად ალბერტო ჯილარდინოს დამსახურებაა, რომელმაც დომენიკო მორფოსთან ერთად გუნდი მთელი სეზონის მანძილზე ათრია და საოცარი გოლები გაიტანა. აქედან გამომდინარე, ძნელია არ დაეთანხმო სპეციალისტთა და გამოკითხულთა აზრს, რომლებმაც ჯილა სერია A-ს გასული სეზონის საუკეთესო და უძლიერეს იტალიელ ფეხბურთელად აღიარეს.

„ოუვენტუსი“ დომინირებს — სხვადასხვა ნომინაციაში „ბებერი კლბატონის“ ოთხმა წარმომადგენელმა გაიმარჯვა. ფაბიო კაპელო, ცხადია, საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს. რჩეული მცველის ნომინაციაში ფაბიო კანავარომ გაიმარჯვა, უძლიერეს მეკარედ ჯანლუიჯი ბუფონი დაასახელეს, ხოლო ყველაზე გამორჩეული ლეგიონერი ზლატან იბრაჰიმოვიჩი გახდა.

გასხენოთ ახალგაზრდა ფეხბურთელის ნომინაციაში გამარჯვებული უკეთესო მსაჯად პიერლუიჯი კობული ვამბალო პაცინიც. პერსპექტიულ ფიორენტინელს მართლაც 2004-05 წლების სეზონი ბოლო კარგი სეზონი ჰქონდა. ხოლო საიყო.



ალბერტო ჯილარდინო მეუღლითურთ

რთელის ნომინაციაში გამარჯვებული უკეთესო მსაჯად პიერლუიჯი კობული ვამბალო პაცინიც. პერსპექტიულ ფიორენტინელს მართლაც 2004-05 წლების სეზონი ბოლო კარგი სეზონი ჰქონდა. ხოლო საიყო.

სერია A-ს 2004-05 წლების სეზონის საუკეთესო

- საუკეთესო ფეხბურთელი: ალბერტო ჯილარდინო
- საუკეთესო მსაჯი: პიერლუიჯი კობლინი
- საუკეთესო მცველი: ფაბიო კანავარო (იუვენტუსი)
- საუკეთესო მეკარე: ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი)
- საუკეთესო ახალგაზრდა: ჯამპალო პაცინი (ფიორენტინა)
- საუკეთესო ლეგიონერი: ზლატან იბრაჰიმოვიჩი (იუვენტუსი)
- საუკეთესო მწვრთნელი: ფაბიო კაპელო (იუვენტუსი)

რეალი? რატომაც არა, მდომანდ რომანოდოს ნუ დამანახვებთ...



ფაბიო კაპელო, მადრიდის „რეალში“ არ დაგზრუნდები, თუ მანდიდან რომანოდოს და მის მსგავსებს არ მოაცილებთო. „ოუვენტუსის“ მწვრთნელი სამომავალსეზონად გალაქტიკოსთა დამრიგებლად შეუკულებითა და კაპელოც თავის ძველ კლუბში მისვლამდე „რეალის“ პრეზიდენტ ფლორენტინო პერესს ულტიმატუმებს უყენებს. მადრიდელი „ასის“ ცნობით, იტალიელის შავ სიაში რობერტო კარლოსი, მიჩელ სალგადო და ივან ელვარაც შედიან. მაგანს შეიძლება გაუკვირდეს, რა წარმატების იმედი უნდა ჰქონდეს კაპელოს, გუნდიდან ძირითადი მეგობრე თუ დაითხოვო. მაშინ 10 წლის წინანდელი



ამბავი გავისხენოთ: როცა იტალიელი „რეალს“ პირველად შეეკრა (1996-97), „სანტიაგო ბერნაბეუს“ ინჩასები სულ მცირე ხანში (!) ფეხბურთელს დაემშვიდობნენ — სამორანო, ლაუდრუპი, ლუის ენრიკე, მიჩელი, ესნაიდერი, ფრედი რინკონი, სოლერი, კიკე სანჩეს ფლორესი, სანდრო, ივან პერესი და ვომეხი სწორედ კაპელომ გაუშვა. სამაგიეროდ, გუნდში მოვიდნენ პრედრაგ მიატოვიჩი, დავორ შუკერი, კლარენს ზედლორფი, რობერტო კარლოსი, ბოლო ილგენი და ზე რობერტო. ამათი შემწეობით იყო, „რეალმა“ ხანგრძლივი შესვენების მერე ჩემპიონთა თასის მოპოვება რომ იხემა.

ჯერჯერობით მადრიდელთა თაკვაცობა რომანოდოს სტრატეგიულ მოთამაშედ მიიჩნევენ და ფლორენტინო პერესიც კაპელოს ულტიმატუმს არ ეთანხმება. ახლა ყველაფერი იმაზე დამოკიდებულია, რეალი „წლეულს პრევიერამი და ლიგაზე „კოჭა“ ფორვარდის დახმარებით რა წარმატებებს მიაღწევს. შეგახსენებთ, რომ თავის დროზე „ინტერიდან“ რომი იქაურ მწვრთნელ ვქტორ რაულ კუპერთან უთანხმოების გამო წავიდა. ახლა ბრაზილიელის კისერზე კაპელოს ჩრდილი ჩამოწვა ავაღ.

ლალ სომბიანი

სარბიელი & კროკო



ნარკოზიდგანთ

სსპა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

	1	X	2	1-X	1-2	X-2		1	X	2	1-X	1-2	X-2
ინგლისი ჩემპიონატი 25 იანვარი 23:45 3 საუთჰემპტონი-კრ. პალასი 2.80 3.20 2.35 1.49 1.27 1.35							29 იანვარი 19:00 26 მკლსფილდი-კარლაილი 2.75 3.10 2.30 1.45 1.25 1.32						
ინგლისი. I ლიგა 27 იანვარი 23:45 5 ნოტინგემი-ბარნსლი 1.85 3.20 3.90 1.17 1.25 1.75 23:45 6 საუთენდი-სუინდონი 1.55 3.50 5.50 1.07 1.20 2.13 19:00 7 ბორნჰუთი-ჩესტერფილდი 2.20 3.20 2.85 1.30 1.24 1.50 19:00 8 ბრედფორდი-ტრანმერი 2.20 3.20 2.90 1.30 1.25 1.52 19:00 9 ბრისტოლი-სუონსი 2.30 3.20 2.70 1.33 1.24 1.46 19:00 11 ჯილინგემი-როტერჰემი 1.85 3.20 3.80 1.17 1.24 1.73 19:00 12 პარტლუკული-ბლეკპული 2.00 3.20 3.30 1.23 1.24 1.62 19:00 13 პადერსფილდი-ოლდეში 1.85 3.20 3.70 1.17 1.23 1.71							შოტლანდია. პრემიერლიგა 28 იანვარი 19:00 51 აბერდინი-კილმარნოკი 2.30 3.20 2.75 1.33 1.25 1.47 19:00 52 სელტიკი-დანდი უნაიტედი 1.20 5.50 11.00 1.00 1.08 3.66 19:00 54 დანფერმლინი-მილერუკლი 2.85 3.20 2.25 1.50 1.25 1.32 19:00 55 პართი-პიბერნიანი 1.85 3.20 3.90 1.17 1.25 1.75 19:00 57 ლივინგსტონი-ფოლკირკი 2.30 3.20 2.80 1.33 1.26 1.49						
ინგლისი. II ლიგა 28 იანვარი 19:00 19 ბერი-ნორთჰემპტონი 2.85 3.10 2.25 1.48 1.25 1.30 19:00 21 ჩესტერი-ნოტსა 2.35 3.20 2.65 1.35 1.24 1.44 19:00 22 დარლინგტონი-მენსფილდი 1.85 3.20 3.80 1.17 1.24 1.73 19:00 23 ვრემსბი-პიტერბრო 1.90 3.20 3.60 1.19 1.24 1.69 19:00 25 ლინკოლნი-როვერსი 2.35 3.10 2.75 1.33 1.26 1.45 19:00 27 როჩდეილი-ბოსტონი 2.30 3.10 2.75 1.32 1.25 1.45 19:00 28 რამფილდი-ოქსფორდი 2.40 3.10 2.65 1.35 1.25 1.42 19:00 29 შრიუსბერი-ტორკი 1.85 3.20 3.80 1.17 1.24 1.73 19:00 30 უიკომბი-სტოკპორტი 1.50 3.40 6.50 1.04 1.21 2.23							29 იანვარი 18:00 58 ინვერნესი-რეინჯერსი 4.80 3.50 1.60 2.02 1.20 1.09						
							შოტლანდია. I დივიზიონი 28 იანვარი 19:00 60 კლაიდი-ჰამილტონი 2.30 3.30 2.60 1.35 1.22 1.45 19:00 61 დანდი-სტრანრარი 1.60 3.50 4.50 1.09 1.18 1.96 19:00 62 ქუინი-ერდრი 3.20 3.40 1.95 1.64 1.21 1.23 19:00 63 სტ.ჯონსტონი-ბრეინი 1.30 4.60 8.00 1.01 1.11 2.92 19:00 64 სტ.მირენი-როსი 1.60 3.60 4.30 1.10 1.16 1.95						
							შოტლანდია. II დივიზიონი 28 იანვარი 19:00 65 ალოა-გრიტნა 8.50 5.50 1.20 3.33 1.05 1.00 19:00 66 ეარი-მორტონი 3.70 3.50 1.80 1.79 1.21 1.18 19:00 67 დამბარტონი-სტირლინგი 3.00 3.30 2.00 1.57 1.20 1.24 19:00 68 პარტიკი-ფორფარი 1.60 3.70 4.30 1.11 1.16 1.98						

I ტაივის შედეგი

	1	X	2	1-X	1-2	X-2
10714 ანგოლა-დრ კონგო	2.80	2.00	3.20	1.16	1.49	1.23
10715 კამერუნი-ტოგო	1.70	2.30	6.00	1.00	1.32	1.66
10716 ზამბია-გვინეა	3.40	2.00	2.60	1.25	1.47	1.13
10717 ტუნიზი-სამხრეთ აფრიკა	2.00	2.00	5.20	1.00	1.44	1.44

1-ლი ტაიმი/პირითაღი დრო

	1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11714 ანგოლა-დრ კონგო	3.30	10.00	20.00	4.40	4.40	5.60	20.00	10.00	4.80
11715 კამერუნი-ტოგო	1.75	12.00	25.00	3.50	5.00	10.00	20.00	9.00	9.00
11716 ზამბია-გვინეა	4.80	10.00	20.00	5.60	4.40	4.20	20.00	10.00	3.20
11717 ტუნიზი-სამხ. აფრიკა	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00

რანდენი ბოლი გავა მატჩში (პირითაღი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12714 ანგოლა-დრ კონგო	1.60	2.00
12715 კამერუნი-ტოგო	1.90	1.70
12716 ზამბია-გვინეა	1.70	1.90
12717 ტუნიზი-სამხრეთ აფრიკა	1.70	1.90

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში ბოლს (პირითაღი დრო)

	კი	არა
13714 ანგოლა-დრ კონგო	1.70	1.90
13715 კამერუნი-ტოგო	1.90	1.70
13716 ზამბია-გვინეა	1.70	1.90
13717 ტუნიზი-სამხრეთ აფრიკა	1.70	1.90

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (მატჩის 0-0 მდგომარეობის შემთხვევაში, ორივე გუნდი უნდა იქნას ანგარიშზე)

14714 ანგოლა-დრ კონგო	1.75	1.90
14715 კამერუნი-ტოგო	1.25	2.60
14716 ზამბია-გვინეა	1.90	1.80
14717 ტუნიზი-სამხრეთ აფრიკა	1.30	2.50

რომელ ტაიმში უკავა მეტი ბოლი

	I-ში	თანაბრად	II-ში
15714 ანგოლა-დრ კონგო	3.00	2.80	2.00
15715 კამერუნი-ტოგო	3.00	2.80	2.00
15716 ზამბია-გვინეა	3.00	2.80	2.00
15717 ტუნიზი-სამხრეთ აფრიკა	3.00	2.80	2.00

ფრის გარეშე (ძირ დრო)

16714 ანგოლა-დრ კონგო	1.60	1.90
16715 კამერუნი-ტოგო	1.12	4.20
16716 ზამბია-გვინეა	2.00	1.60
16717 ტუნიზი-სამხრეთ აფრიკა	1.20	3.10

ბოლი: ფრის 1-0-ის შემთხვევაში (0-0 ითვლება ფრისად)

17714 ანგოლა-დრ კონგო	1.85	1.95
17715 კამერუნი-ტოგო	1.85	1.95
17716 ზამბია-გვინეა	1.85	1.95
17717 ტუნიზი-სამხრეთ აფრიკა	1.85	1.95

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაახუსტაით





AFP დენვერ, კოლორადო

მოკლე და ფასიანი

ამ წვლებში გახერხებულ თანდაუნს მეტი ფასი აქვს. ის სულ სამიარდიანია, ფიცხელ ბრძოლაში გააღწია ადვილამდე. მოკლედ: დენვერელი მაიკ ანუ ჩაუქ გრძელ ფეხებს ნახევარი მოედანი კი არ გადაურბენია, არამედ ანდერსონი თავისიანებს აწინაურებს „პიტსბურგთან“ თამაშში.



AFP პორტ საიდინ

ფანჯურთი პორტ საიდუი

პორტ საიდში აფრიკული ფეხბურთი დუღს: ამ ფანჯრიდან მშვენივრად ჩანს ნიგერიელთა და ვანელითა მატჩი. კაცები კი სახურავზე მოკალათებულან. ამ სენეგალელ გულშემატკივარს კი თილისმად ღოში პყლია.

სარბიელი
საორტული გავითი
გამოცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ღვინჯიანი
დირექტორი ბიორგი ოქროშვილი
მთავარი რედაქტორი თამაზ მიხრიალი
პასუხისმგებელი რედაქტორი პასა შალამაძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი: დავით თავართქილაძე,
კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი: მამა სანთაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი: გიორგი ლომიძე, ილია ბაბუნაშვილი,
სარედაქციო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

ვიორგი დარჯანია, ვიორგი ვაშაძე, ვიორგი კაკაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქტორი ვაა ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი,
ოთარ მალაქვილი, არაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტორები: გურამ დოღენაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა ვიორგობიანი, ლალი გოხალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლილია ბეგლაროვა, ლია ბესელია,
ზაზუნა ბუნუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალისხელი,
მადლა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი,
თამარ ქინჭლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზბეგის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი - 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieri@gol.ge
ელექტრონული ვერსია
<http://www.sarbieri.com.ge>